ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2282248

ნომერი: AR1353862

თარიღი : 03.11.2015

გაცემის თარიღი : 10.11.2015

გაცნობის თარიღი : 10.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/49) / ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვეთი 08/088) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე კორძახია პ/ნ 01009004543
- თბილისი, ა. ყაზბეგის 51ა. ბ.19

ორგანიზაცია:
- შპს ''დომუს დეველოპმენტ"" კოდი: 205210261

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ოლიმპი პლიუს
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205165550
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბადრი სიხარულიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006003925

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1413.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1714.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7881.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4249.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3632.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.35
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.9

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა ალექსანდრე კორძახიას წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების შესახებ.
2. გენ–გეგმაზე დამატებით დაიტანეთ ამწის განთავსების ადგილი და მისი მოძრაობის სქემა. ასევე ვინაიდან სადემონტაჟო შენობა თავისი კონფიგურაციით საკადასტროს ნაწილში განთავსებულია უშუალოდ წითელ ხაზზე და დროებითი ღობეც შესაბამისად განთავსებული უნდა იყოს ჭითელ ხაზზე ან მის ფარგლებში (რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის და არსებული სიტუაციის ფარგლებში შეუძლებელია) საჭიროა წარმოადგინოთ სახელმწიფოსა და თვითმართველი ერთეულის თანხმობა , დროებითი ღობის მოწყობასთან დაკავშირებით. ასევე გაითვალისწინეტ იმ შემთხვევაში თუ დემონტაჟის დროს ხდება ტერიტორიაზე არსებული ხე ნარგავების მოჭრა/გადარგვა წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისში (ამა და ამ მისამართზე) არსებულ მიწის ნაკვეთზე, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული (ამა და ამ) მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვას. აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის მოპოვების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, უნდა წარადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა მასზე დატანილი მწვანე ნარგავებით და აღნიშნული მწვანე ნარგავების აღწერილობა.
3. წარმოსადგენია საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული იპოთეკარის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.